

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 09 ნოემბრის №01-06/18 რიგგარეშე სხდომის  
დღის-წესრიგის პროექტი

1. ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის  
დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს აპარატის უფროსი მუხრან სალაძე

2. ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ  
წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური  
პარკი“-ს სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების  
პროექტი

მომხსენებელი: საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული  
დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის  
კომისიის თავმჯდომარე გოჩა გორგილაძე

3. ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის სამი კვარტლის  
შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
განკარგულების პროექტი

მომხსენებელი: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო  
სამსახურის უფროსი ჯემალ ტაკვიძე  
თანამომხსენებელი: საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო  
კომისიის თავმჯდომარე რეზო თურმანიძე

**ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო**

**განკარგულება №--**

**2018 წლის -- ნომბერი**

**დაბა ქედა**

**ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის**

**დამტკიცების შესახებ**

„ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებებისა და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპებისა და წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილების მე-8-ე მუხლის შესაბამისად, **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა**:

1. დამტკიცდეს ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმა, თანახმად დანართი №1-სა და №2-სა.

2. მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს, ვანო ხუხუნაიშვილის სახელობის ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრსა და საჯარო სამსახურის ბიუროს.

3. დანართი №1 და №2 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.

4. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა მუხრან სალაძემ.

5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6. განკარგულება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

**ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე**

**შუქრი თურმანიძე**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმა

№	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების პერიოდი/ კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)	დაფინანსება სხვა წყაროდან
1	საკრებულოს აპარატის უფროსი	1	მოკლევადიანი ტრენინგი	II და III კვარტალი	სავალდებულო და შერჩევითი ინვენტარიზაცია საბიუჯეტო ორგანიზაციაში	851	
					თანამშრომელთა მოტივაცია ორგანიზაციაში		
					პროექტების მართვა (მხოლოდ მაღალი და საშუალო დონის მენეჯერებისთვის)		
2	საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება	1	მოკლევადიანი ტრენინგი	I და II კვარტალი	შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა	535	
					ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი		
3	საკრებულოს აპარატის საქმისწარმოებისა და საორგანიზაციო განყოფილება	3	მოკლევადიანი ტრენინგი	I კვარტალი	მონაცემთა სწრაფი დამუშავება და ვიზუალიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით	2210	
		1	მოკლევადიანი ტრენინგი	II კვარტალი	საჯარო სამსახურის რეფორმა - კანონმდებლობის ანალიზი		
		1	მოკლევადიანი ტრენინგი	IV კვარტალი	ეფექტური მომსახურების ტექნოლოგიები /სერვის პლუს/		
4	საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საკრებულოს კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში	1	მოკლევადიანი ტრენინგი	II და III კვარტალი	საჯარო სამსახურის რეფორმა - კანონმდებლობის ანალიზი	358	
					კონფლიქტური სიტუაციების მართვა ორგანიზაციაში		

ქედის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმა

№	სწავლების სფერო	მოხელეთა რაოდენობა	სწავლების ფორმა	სწავლების პერიოდი/ კვარტალი	შესასწავლი საკითხები აღნიშნულ სწავლების სფეროში	დაფინანსება ბიუჯეტიდან (ლარი)	დაფინანსება სხვა წყაროდან
1	ინფრასტრუქტურული პროექტების ტექნიკური ზედამხედველობა	5	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და IV კვარტალი	<p>მშენებლობის ნებართვის გაცემა და მშენებლობაზე ზედამხედველობის განხორციელება</p> <p>სამოქალაქო მშენებლობა, ნორმები და ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელება</p> <p>სასმელი წყლის მაგისტრალების მშენებლობა და მათი ტექნიკური ზედამხედველობა.</p>	2900	
2	გენდერული თანასწორობა	3	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და IV კვარტალი	<p>გენდერული ბიუჯეტირება, პროგრამული ბიუჯეტი</p> <p>გენდერულ ჭრილში სტატისტიკური ინფორმაციის, მოკრების, სისტემატიზაციის, საჯაროობის და გამოყენების ფორმები და მეთოდები</p> <p>სქესის ნიშნით სეგრეირებული სტატისტიკურ მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა</p> <p>გენდერული თანასწორობის გრძელვადიან სტრატეგიაზე მუშაობა და მომდევნო წლების გენდერული თანასწორობის სამოქმედო გეგმის შემუშავება</p> <p>სამუშაო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმი</p>	2900	
3	ადამიანური რესურსების მართვა	3	მოკლევადიანი ტრენინგი	I და II კვარტალი	<p>თანამშრომელთა შეფასება: შეფასების მეთოდები, პროცედურები, მასთან დაკავშირებული სამართლებრივი შედეგების განსაზღვრა.</p> <p>კლასის მინიჭება</p> <p>დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის დაკისრება, დისციპლინური წარმოების პრინციპები და განხორციელების წესები</p>	2000	

4	შიდა აუდიტი	2	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და III კვარტალი	შიდა აუდიტის სუბიექტის უფლებამოსილება, მიზნები და საქმიანობის განხორციელების ძირითადი პრინციპები.	2000	
					აუდიტის განხორციელების პროცედურები.		
					შიდა აუდიტის დაგეგმვა; შიდა აუდიტორის უფლებები და მოვალეობები; შიდა აუდიტორული შემოწმება და ანგარიში.		
5	მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა	4	მოკლევადიანი ტრენინგი	I და II კვარტალი	ინფრასტრუქტურის სტრატეგიის დოკუმენტების შემუშავება.	3766	
					სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის ინსტიტუციური სისტემა, მეთოდოლოგია, თანამონაწილეობა, მონიტორინგი, დოკუმენტების პრაქტიკაში გამოყენება, ტიპები და იერარქია		
					დაგეგმარების არსებული პრაქტიკა და ახალი ტენდენციები; დაგეგმარების საწყისი და საბაზისო მონაცემების ხარისხობრივი მახასიათებლები და საყრდენი გეგმა		
					გეგმარებითი დავალება, ფაზები, განმარტებული დოკუმენტები, საჯაროობა და დამტკიცება		
6	შესყიდვები	5	მოკლევადიანი ტრენინგი	I ან/და III კვარტალი	სახელმწიფო შესყიდვების დაგეგმვა	3770	
					შესყიდვის ობიექტის სახეები და ფორმები		
					შემსყიდველი ორგანიზაციის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობა		
					შესყიდვების საშუალებები		
					გადაუდებელი შესყიდვის მნიშვნელობა და საჭიროების შეფასება		
					ორ ეტაპიანი ტენდერების კონკურსის დაგეგმვა, ორგანიზება		
					ერთგვაროვნების დადგენა, ანგარიშგება		
					გამარტივებული შესყიდვები და მასთან დაკავშირებული საკითხები		
კონსოლიდირებული შესყიდვის უპირატესობები; შესყიდვების სააგენტოს როლი, სტრუქტურა და ფუნქციები							

7	ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტული დოკუმენტების შემუშავება	5	მოკლევადიანი ტრენინგი	I ან/და III კვარტალი	პრიორიტეტული დოკუმენტის არსი და მნიშვნელობა, მისი შემუშავების საორგანიზაციო-მოსამზადებელი ეტაპი.	3766	
					პრიორიტეტების შუალედური დოკუმენტის შინაარსი, დოკუმენტის სამუშაო ვერსია.		
					პრიორიტეტების დოკუმენტის შეთანხმების, კორექტირების, მიღების პირობები და წესები.		
8	საგადასახადო კანონმდებლობა	3	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და IV კვარტალი	ინვენტარიზაციის ჩატარების წესი და მიღებული შედეგების საგადასახადო აღრიცხვა/ანგარიშგება	3766	
					ქონების გადასახადის გაანგარიშება		
					საგადასახადო დავები და შეთანხმებები		
					მოსაკრებლების ადმინისტრირება და ზედამხედველობის განხორციელება		
9	ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა	3	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და IV კვარტალი	ინტერმუნიციპალური ან/და რეგიონული ტურიზმის განვითარება; ამოცანები, გეგმები და განხორციელების მექანიზმები	2980	
					ტურიზმიდან შემოსავლების გაზრდის გზები		
					ტურიზმის სახეობების კლასიფიკაცია და მაგალითები		
					მუნიციპალიტეტისათვის პრიორიტეტული მიმართულებების იდენტიფიცირების მეთოდები და ხერხები		
					მიზნობრივი მარკეტინგის ორგანიზება (DMO) და მაგალითები		
ტურიზმის სახეობების მიხედვით აუცილებელი სატრანსპორტო გადაადგილებების განსაზღვრა							

					ადგილობრივ მოსახლეობაში ეროვნულ-ღირებულებითი ინტერესების გაღვივებისა და პოტენციურად ტურისტული მომსახურების წარმოებით დაინტერესებული მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მეთოდოლოგია და კამპანიის მართვა		
10	სამხედრო გაწვევის საკითხები	4	მოკლევადიანი ტრენინგი	II ან/და IV კვარტალი	<p>დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივი ჩარჩო აღსრულება</p> <p>წვევამდელთა და რეზერვისტთა საკითხების თანამედროვე გადაწყვეტის კარგი მაგალითები</p> <p>სავალდებულო და საკონტრაქტო სამსახურში გაწვევა</p>	2000	

**განმარტებითი ბარათი**  
**ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ**

**ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის**  
**დამტკიცების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-**  
**სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე**

**ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:**

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელეთა უწყვეტი სწავლების სისტემის, მასში ჩართული უწყებების უფლებამოსილებების და ამ სისტემის ფუნქციონირების პრინციპის და წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის №319 დადგენილება.

**ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:**

აქტის მიღების მიზანია ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეთა 2019 წლის სასწავლო გეგმის დამტკიცება რათა განისაზღვროს მოხელეთა სწავლების საჭიროებათა კვლევა და სისტემატიზაცია.

**ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია კალენდარული წლის 10 ნოემბრისა დაამტკიცოს ორგანიზაციაში დასაქმებული საჯარო მოხელეთა სასწავლო გეგმა, რომლის საფუძველზედაც მოხდება მოხელეთა სწავლების ფორმების მეთოდოლოგიური უზრუნველყოფა ტრენინგის, დისტანციური სწავლებისა და სემინარების მიხედვით.

**ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

**დ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ინდივიდუალური აქტის პროექტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**დ.ბ) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და ქედის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - მუხრან სალამე

**ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - ამირან დევამე.



ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №--

2018 წლის --ნოემბერი  
დაბა ქედა

**ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2018 წლის 10 ივლისის დასკვნისა (შიდა დოკუმენტი №218-04; 17.07.2018 წ.) და გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედ სამთავრობო კომისიის 2018 წლის 16 ოქტომბრის №12 სხდომის ოქმის შესაბამისად, ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკს“ მიენიჭოს „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელი.
2. ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის მერიას თანმდევი პროცედურების განხორციელება.
3. ამ განკარგულების შესრულებაზე პასუხისმგებლობა დაევალოს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას (კომისიის თავმჯდომარე - გოჩა გორგილაძე).
4. ამ განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
6. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## განმარტებითი ბარათი

### ინფორმაცია სამართლებრივი აქტის პროექტის შესახებ

ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭების შესახებ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის (განკარგულება) პროექტზე

**ა) ზოგადი ინფორმაცია ინდივიდუალური აქტის პროექტის შესახებ:**

**ა.ა) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზი:**

ინდივიდუალური აქტის მიღების მიზეზია „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, რომლის საფუძველზე სამართლებრივად რეგულირდება მუნიციპალიტეტის საზღვრებში მდებარე ობიექტების სახელდება.

**ა.ბ) ინდივიდუალური აქტის მიღების მიზანი:**

აქტის მიღების მიზანია მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე საზოგადო მოღვაწის ფრიდონ ხალვაშის საზოგადოებრივი საქმიანობის, დამსახურებისა და ღვაწლის დაფასება.

**ა.გ) ინდივიდუალური აქტის ძირითადი არსი:**

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო უფლებამოსილია, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 16-ე მუხლის მეორე პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის შესაბამისად სახელწოდების არ მქონე გეოგრაფიული ობიექტს მიანიჭოს საზოგადო მოღვაწის ანუ იმ პირის სახელი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს ან/და კაცობრიობის წინაშე, კულტურის, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის საქმეში.

ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა -ში მდებარე ეგრეთ წოდებულ აკავრეთის პარკს, სახელი მინიჭებული არ აქვს „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით გათვალისწინებული პირობებისა და პროცედირების დაცვით, შესაბამისად, იურიდიული თვალსაზრისით გეოგრაფიული ობიექტი სახელწოდების არ მქონედ ითვლება. სახელწოდების არ მქონე გეოგრაფიული ობიექტს კი შეიძლება მიენიჭოს საზოგადო მოღვაწის ანუ იმ პირის სახელი, რომელსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვს საქართველოს ან/და კაცობრიობის წინაშე, კულტურის, ხელოვნებისა თუ ლიტერატურის საქმეში. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ინიციატივას ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7ა -ში მდებარე 13736.00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისათვის (ეგრეთწოდებული აკავრეთის პარკი)(საკადასტრო კოდი: 21.03.32.060) საზოგადო მოღვაწის, ქართველი პოეტის, პროზაიკოსისა და შოთა რუსთაველის სახელობის პრემიის ლაურეატის (1979) ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკის სახელის მინიჭების შესახებ.

**ბ) ინდივიდუალური აქტის ფინანსური დასაბუთება:**

**ბ.ა) ინდივიდუალური აქტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გამოიწვევს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

**ბ.ბ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას არ მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

**ბ.გ) ინდივიდუალური აქტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:**

ინდივიდუალური აქტის მიღება გავლენას მოახდენს ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

**ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:**

ინდივიდუალური აქტის მიღება არ წარმოშობს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

**გ) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს სამართლებრივ სტანდარტებთან**

**გ.ა) ინდივიდუალური აქტის მიმართება საქართველოს კანონმდებლობასთან:**

ინდივიდუალური აქტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას.

**დ) ინდივიდუალური აქტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:**

**დ.ა) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, რეგისტრაციის, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისია.

**დ.ბ) ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/დაექსპერტის შეფასება ნორმატიული აქტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:**

ინდივიდუალური აქტის შემუშავებაში აღნიშნულ სუბიექტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

**ე) ინდივიდუალური აქტის ავტორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

**ვ) ინდივიდუალური აქტის წარმდგენი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გოჩა გორგილაძე.

**ზ) ინდივიდუალური აქტის ინიციატორი:**

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გოჩა გორგილაძე.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს  
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის  
დასკვნა

დაბა ქედა

10 ივლისი, 2018 წელი


კომისია განმარტავს, რომ 2018 წლის 10 ივლისს გაიმართა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომა, რომელმაც განიხილა საკრებულოს წევრის გოჩა გორგილაძის ინიცირებული საკითხი - ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7<sup>ა</sup>-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ სხდომის მიზანი იყო ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7<sup>ა</sup>-ში მდებარე ეგრეთ წოდებული „აკავრეთის პარკი“-სთვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის დადგენა, მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან კონსულტაცია და გამოთქმული მოსაზრებების გათვალისწინება.

კომისიის სხდომაზე ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის, ადგილობრივი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებების გათვალისწინებით კომისია ასკვნის:

მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქედის მუნიციპალიტეტის, დაბა ქედა, რუსთაველის ქ.№7<sup>ა</sup>-ში მდებარე ეგრეთ წოდებულ აკავრეთის პარკს მიენიჭოს „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ქედის ცენტრალური პარკი“-ს სახელი.

კომისიის თავმჯდომარე  
გოჩა გორგილაძე



## ა მ ო ნ ა წ ე რ ი

გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების, აღრიცხვისა და დაცვის მიზნით, გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა სფეროში მოქმედი სამთავრობო კომისიის სხდომის

ოქმი N12-დან

ქ.თბილისი

16 ოქტომბერი 2018 წელი

ესწრებოდენ: ილია ბეგიაშვილი, ნიკოლოზ როსებაშვილი, მიხეილ გვათუა, გიორგი დიდიძე, პაატა ჯიომილი, ვაჟა კვიციანი, თეა ტეტელოშვილი, ნინო ბახია, ნინო შეყრილაძე. კომისიის 14 წევრიდან სხდომას ესწრებოდა 9. სხდომა უფლებამოსილი იყო მიეღო გადაწყვეტილებები. სხდომას აგრეთვე ესწრებოდა: სათათბირო ხმის უფლებით მოწვეული საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი გიორგი ტაბატაძე.

სხდომის თავმჯდომარე: ილია ბეგიაშვილი

სხდომის მდივანი: მიხეილ გვათუა

საკითხი N2 საკითხი 2. მოისმინეს: ნიკოლოზ როსებაშვილმა დამსწრეებს მოახსენა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ითხოვა დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩა N7 - ის მიმდებარე ე.წ. აკავრეთის პარკისათვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭების შესახებ და წარმოადგინა „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესით“ განსაზღვრული დოკუმენტაცია.

აზრი გამოთქვას: ვაჟა კვიციანი, მიხეილ გვათუამ, თეა ტეტელოშვილმა, ნიკოლოზ როსებაშვილმა.

ჩატარდა კენჭისყრა. შედეგები: მომხრე-9, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: მიეცეს თანხმობა ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დაბა ქედაში რუსთაველის ქუჩა N7 -ის მიმდებარე ე.წ. აკავრეთის პარკისათვის „ფრიდონ ხალვაშის სახელობის ცენტრალური პარკის“ სახელის მინიჭებაზე.

საკითხი 3. მოისმინეს: მიხეილ გვათუამ დამსწრეებს მოახსენა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოიწონა სოფელ მოსიაშვილებში მცხოვრები მოქალაქეების წინადადება სოფელ მოსიაშვილებისაგან გამოყოფის გზით ახალი დასახლების შექმნის შესახებ და სამთავრობო კომისიის წინაშე დააყენა თხოვნა მისთვის „გიორგოულის“ სახელის მინიჭებაზე დასკვნის გაცემის თაობაზე.

*Handwritten signature*


აზრი გამოთქვას: ილია ბეგიაშვილმა, ნიკოლოზ როსებაშვილმა, ნინო ბახიამ, თეა ტეტელოშვილმა, გიორგი დიდიძემ. მათ აღნიშნეს, რომ როგორც წარმოდგენილი მასალიდან ირკვევა სოფლის ამჟამინდელი დასახელება დაკავშირებულია საბჭოთა პერიოდთან. სამწუხაროდ, სოფლის გადარქმევასთან დაკავშირებით მოსახლეობაში კონსენსუსის მიღწევა ვერ მოხერხდა, შედეგად სიტუაციიდან გამოსავლად მიჩნეულ იქნა ადმინისტრაციული ერთეულის ორად გაყოფა. კომისიის წევრების აზრით, ამგვარი გადაწყვეტა არარაციონალური და მხარდაჭერის თვალსაზრისით ნაკლებად პერსპექტიულია. წარმოდგენილ დოკუმენტებში სოფლის ძველ სახელწოდებად იხსენიება „გორგიული“, ამდენად არასაკმარისად დასაბუთებულია სახელწოდება „გიორგეულის“ წარმომავლობა.

ჩატარდა კენჭისყრა. შედეგები: მომხრე-9, წინააღმდეგი - 0.

დაადგინეს: ეთხოვოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წარმომადგენლის დამატებითი მასალა მათ მიერ მხარდაჭერილი წინადადებების დასაბუთების ხარისხის ამაღლების მიზნით.

ამონაწერის სისწორეს დედანთან ვადასტურებ:

კომისიის მდივანი



მიხეილ გვათუა

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

2018 წლის -- ნოემბერი  
დაბა ქედა

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის სამი კვარტლის  
შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის „გ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1. დადებითად იქნას შეფასებული ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის სამი კვარტლის ანგარიში თანახმად დანართი №1-სა.
2. დანართი №1 წარმოადგენს განკარგულების განუყოფელ ნაწილს.
3. განკარგულების დაინტერესებულ მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაინტერესებული მხარის მიერ მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).
5. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ქედის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

შუქრი თურმანიძე

## ა ნ გ ა რ ი შ ი

### ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის 2018 წლის სამი კვარტლის შესრულების შესახებ

#### შ ე მ ო ს უ ლ ო ბ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 24 აგვისტოს №31 დადგენილებით მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის მოცულობა 11 560 299 ლარის ოდენობით განისაზღვრა, ხოლო დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 606 543 ლარით.

ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის სამი კვარტლის მდგომარეობით მიღებულია გათანაბრებითი ტრანსფერი სახელმწიფო ბიუჯეტიდან 3 403 800 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი 2 333 397 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი - 46 244 ლარი, გადასახადებიდან მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 767 487 ლარი, მათ შორის: ქონების გადასახდი 477 780 ლარი, საშემოსავლო გადასახადი - 289 707 ლარი, სხვა შემოსავლებიდან სულ მიღებული იქნა 410 753 ლარი, მათ შორის: პროცენტები 19 121 ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 268 632 ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან მართვაში 1 717 ლარი, სანებართვო მოსაკრებელი 615 ლარი, სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი 400 ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 8 879 ლარი, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება 9 670 ლარი, ჯარიმები, სანქციები და საურავები 38 142 ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები 63 578 ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან მიღებულია - 9 065 ლარი. 2018 წლის სამი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებით შესრულებულ იქნა 88,2%-ით.

#### გ ა დ ა ს ა ხ დ ე ლ ე ბ ი

ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ბიუჯეტის 2018 წლის სამი კვარტლის გადასახდელების დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 8 209 503 ლარის ოდენობით, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 7 216 225 ლარი. (87.9%)

#### I. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება

წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენდა 1 555 757 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 501 061 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 429 140 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 411 086 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 1 090 309 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 071 596 ლარი.

სასესხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 25 800 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18 0380 ლარი.



## II. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოები სფეროს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 48 140 ლარს, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 46 226 ლარი, მათ შორის:

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა შეადგენს 48 140 ლარს, ხოლო ფაქტიური ხარჯი 46 226 ლარი.

## III. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის სფეროს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 460 335 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 887 608 ლარი, მათ შორის:

საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და მოვლა შენახვა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 611 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 447 508 ლარი, საიდანაც

შიდა სასოფლო-საუბნო გზების რეაბილიტაცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 350 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 194 774 ლარი.

დაბა ქედაში მდინარე აკავრეთას და აჭარისწყლის ნაპირსამაგრი სამუშაოები 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 219 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 212 052 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაკიდული ხიდების რეაბილიტაცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 41 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 682 ლარი.

კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 2 322 265 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ 1 931 405 ლარი, საიდანაც

შპს „ქედის კომუნალურისერვისი“ 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 355 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 355 463 ლარი.

ნაგვის შემგროვებელი ურნების შექმნა სოფლებისათვის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 47 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 47 740 ლარი.

შპს „ქედის წყალკანალი“ 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 203 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 187 908 ლარი.

სს „აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანი 2018 წლის დაზუსტებული სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 10 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 400 ლარი.

დანდალოს თემში (ოტოლაძეების უბანში) წყალმომარაგების უზრუნველყოფა 2018 წლის დაზუსტებული სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 61 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 59 323 ლარი.

სოფელ ორცვაში ქაჯებისა და კაკაბაძეების უბანში 18 ოჯახზე სასმელი წყლის მაგისტრალის მშენებლობა 2018 წლის დაზუსტებული სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 40 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 40 493 ლარი.

გეგელიძეების წყალსადენის რეაბილიტაცია 2018 წლის დაზუსტებული სამი კვარტლის გეგმა განისაზღვრა 38 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 18 140 ლარი.

ზენდიდისა და ცხემნის წყლის სისტემის მშენებლობა რეაბილიტაცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 97 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 97 650 ლარი.

ქოსოსფლის წყლის სისტემის მშენებლობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 42 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 42 635 ლარი.

კორომხეთი-კოლოტაურის სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 121 100 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 77 749 ლარი.

სარწყავი არხების, სასმელი წყლისა და წყალსადენებისათვის მილების შექმნა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 18 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 453 ლარი.

სოფელ წონიარისის (ბარის უბნის) სასმელი წყლის სისტემის რემონტი 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 9 474 ლარი.

**მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების** 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 198 465 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 940 943 ლარი, მათ შორის:

დაბა ქედაში აღმაშენებლის ქუჩაზე არსებული ყოფილი ადგილმრეწველობის კომბინატის შენობის რეკონსტრუქცია და საცხოვრებელ სახლად გადაკეთება 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 157 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 157 330 ლარი.

დაბის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 368 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 365 589 ლარი.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრების და მათში შემავალ სოფლებში კეთილმოწყობითი სამუშაოები (დანდალო, ცხმორისი, წონიარისი, ზვარე, დაბა ქედა, ოქტომბერი, მერისი, პირველიმისი, მახუნცეთი, დოლოგანი) 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 340 565 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 255 734 ლარი.

აწვესის ტერიტორიის კეთილმოწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 172 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 162 291 ლარი.

პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 71 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 033 ლარი.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 328 124 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 324 726 ლარი.

არასაცხოვრებელ შენობა ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2 030 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 163 046 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 144 460 ლარი.

სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 235 ლარი, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაქცინაციის პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 500 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 435 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული თევზსაშენი მეურნეობების წყალაღების და ჩაშვების ჰიდროინჟინრული ტექნოლოგიის პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 4 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4 800 ლარი.

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებები 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 183 046 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 170 704 ლარი.

#### IV. განათლება

განათლების სფეროს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 592 630 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 366 528 ლარი, მათ შორის:

სკოლამდელი განათლების დაფინანსება 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 592 630 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 366 528 ლარი, საიდანაც ა.ა.ი.პ ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 967 330 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 865 035 ლარი.

მახუნცეთის თემის ადმინისტრაციული შენობის და ზუნდაგის ბაგა-ბაღის რეკონსტრუქცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 498 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 405 753 ლარი.

მერისის ბაგა-ბაღის რემონტი 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 39 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 39 086 ლარი.

ხარაულის ბაგა-ბაღის კეთილმოწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 51 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 50 991 ლარი.

წონიარისის ბაგა-ბაღის რემონტი და ეზოს კეთილმოწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 6 800 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 5 663 ლარი.

#### V. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების სფეროს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 897 140 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 815 622 ლარი, მათ შორის:

სპორტის განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 289 070 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 243 233 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის სასპორტო სკოლის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 133 370 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 114 460 ლარი.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 45 300 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 32 492 ლარი.

საფეხბურთო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 13 890 ლარი.

სარაგბო კლუბის მხარდამჭერი ღონისძიებების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 55 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 54 272 ლარი.

მინი სპორტული მოედნების მშენებლობა და რეაბილიტაცია 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 40 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 118 ლარი.

კულტურის განვითარების ხელშეწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 608 070 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 572 389 ლარი, საიდანაც

ა.ა.ი.პ ქედის კულტურის ცენტრის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 408 530 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 395 196 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის ხელოვნების სკოლის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 92 780 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 88 527 ლარი.

ა.ა.ი.პ ქედის მუზეუმის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 55 020 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 52 976 ლარი.

კულტურული ღონისძიებების დაფინანსება 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 48 140 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 34 227 ლარი.

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 3 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1 463 ლარი.

## **VI. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 655 501 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 599 181 ლარი, მათ შორის:

ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 474 950 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 433 286 ლარი, საიდანაც

ეპილეფსიით დაავადებულთა სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 18 600 ლარი ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 11 864 ლარი.

ამბულატორიული მომსახურების უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 98 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 98 762 ლარი.

სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 105 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 100 320 ლარი.

თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 64 550 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 57 950 ლარი.

ჯანმრთელობის ზიანის რისკების შემცირება, სოფლად მცხოვრები არამობილური ხანდაზმულებისათვის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 9 600 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 8 135 ლარი.

პარკინსონით დაავადებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 5 674 ლარი.

სოფელ მეძიბნაში სამედიცინო პუნქტის (და სოფლის სახლის) მშენებლობა და ინვენტარის შეძენა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 117 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 98 347 ლარი.

თემის სამედიცინო პუნქტების და ამბულატორიების კეთილმოწყობა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 53 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულება შეადგინა 52 236 ლარი.

სოციალური დაცვის ღონისძიებების 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 180 551 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 165 894 ლარი, საიდანაც

სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 14 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 979 ლარი.

ვეტერანთა უკვდავყოფის სარიატუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზებისა და დახმარების მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1 900 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 500 ლარი.

ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ასაკის ბავშვები) ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამა 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 51 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 48 000 ლარი.

გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 15 700 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 15 650 ლარი.

ჰემოდიალიზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ღირებულების უზრუნველყოფის პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 11 400 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10 624 ლარი.

ცერემონიული დამბლით დაავადებულ ბავშვთა აბილიტაცია-რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელსეწყობის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 7 200 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 6 632 ლარი.

ქედის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისთვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 48 451 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 45 027 ლარი.

საცხოვრებელ სახლებზე ამორტიზირებული სახურავების შეცვლის მიზნობრივი პროგრამის 2018 წლის სამი კვარტლის დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 30 000 ლარი, ხოლო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 28 482 ლარი.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების  
რესპუბლიკური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების  
ბიუჯეტების ბალანსის შესრულების

## ა ნ გ ა რ ი შ ი

ავტონომიური რესპუბლიკა: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

თვითმმართველი ქალაქი, მუნიციპალიტეტი: ქედის მუნიციპალიტეტი

პერიოდულობა: კვარტალური, 2018 წლის 1 ოქტომბრისათვის

ზომის ერთეული: ლარი



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა  
ქედის მუნიციპალიტეტის გამგეობა  
საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური

დაბა ქედა, მ.კოსტავას ქ. №3

25 00 52, 25 00 55

„1“ ოქტომბერი 2018 წ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის  
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს  
ბატონ ჯაბა ფუტყარაძეს

ბატონო ჯაბა,

გიგზავნით ქედის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების III კვარტლის ანგარიშს 2018 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით. ასევე გაცნობებთ, რომ ადგილობრივი ბიუჯეტის სახაზინო და მიმდინარე სადეპოზიტო ანგარიშებზე სამსახურის მონაცემებით ნაშთად უნდა ირიცხებოდეს 357087 ლარი და 98 თეთრი, ხოლო სახელმწიფო ხაზინისა და ს.ს. „ლიბერთი ბანკი“ – ის დასტურით კი ირიცხება 66939.80 (სამოცდაექვსი ათას ცხრაასოცდაცხრამეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი, სხვაობა 290148 (ორასოთხმოცდაათი ათას ასორმოდარვა) ლარი კვლევის პროცესშია (ტექნიკურად გასწორდა ბალანსში).

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი



ჯემალ ტაკიძე

№01065/111

05 ოქტომბერი 2018 წელი

### ცნობა

ემლევა ქედის მუნიციპალიტეტს (საიდენტიფიკაციო ნომერი 246 762 061 ) მასზედ, რომ სს „ლიბერთი ბანკში“ გახსნილ ანგარიშწორების ანგარიშზე №GE66LB0120111389440003 2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით არსებული ნაშთი შეადგენს 20000 (ოციათასი) ლარს.

ცნობა გაიცემა საჭიროებისამებრ წარსადგენად.

თამარ აბულაძე

სს „ლიბერთი ბანკის“ ქედის

ფილიალის მენეჯერი





## ანგარიშების ბალანსი

თარიღი: 30/09/2018

246762061 - ქედის მუნიციპალიტეტი

თარიღი	ანგარიშის ნომერი	ბალანსი
30/09/2018	3007000000	19,641.88
30/09/2018	3007000001	0.24
30/09/2018	3007000002	0.00
30/09/2018	3007000003	1,536.62
30/09/2018	3007000004	0.00
30/09/2018	3007000005	21.55
30/09/2018	3007000006	0.00
30/09/2018	3007000007	0.02
30/09/2018	3007000008	0.00
30/09/2018	3007000009	0.00
30/09/2018	3007000010	0.00
30/09/2018	3007000011	0.00
30/09/2018	3007000012	0.00
30/09/2018	3007000013	12,342.49
30/09/2018	3007000014	0.00
30/09/2018	3007000015	0.00
30/09/2018	3007000016	0.00
30/09/2018	3007000017	0.00
30/09/2018	3007000018	0.00
30/09/2018	3007000019	13,397.00
30/09/2018	3007000020	0.00
30/09/2018	3007000021	0.00
30/09/2018	3007000022	0.00



ქედის მუნიციპალიტეტი

დასახელება	2018 წლის დაზუსტებული გეგმა		2018 წლის III კვ. დაზუსტებული გეგმა		2018 წლის III კვ. საკანის შესრულება	
შემოსავლები	11,268.544	0.000	7,884.901	0.000	6,961.681	0.000
გადასახადები	850.000		759.000		767.487	
გრანტები	9,543.444	0.000	6,439.044	0.000	5,783.441	0.000
სხვა შემოსავლები	875.100		686.857		410.753	
ხარჯები	5,933.921	0.000	4,548.721	0.000	4,282.763	0.000
შრომის ანაზღაურება	2,873.100	0.000	2,135.970	0.000	2,054.004	0.000
საქონელი და მომსახურება	1,382.008	0.000	1,043.467	0.000	942.287	0.000
პროცენტი	25.600	0.000	25.600	0.000	18.279	0.000
სუბსიდიები	880.814	0.000	680.700	0.000	678.252	0.000
სოციალური უზრუნველყოფა	316.719	0.000	264.451	0.000	245.385	0.000
სხვა ხარჯები	455.680	0.000	398.533	0.000	344.555	0.000
საოპერაციო საღდო	5,334.623	0.000	3,336.180	0.000	2,678.918	0.000
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5,647.064	0.000	3,635.224	0.000	2,913.998	0.000
ზრდა	5,662.064	0.000	3,650.224	0.000	2,923.062	0.000
კლება	15.000		15.000		9.065	
მთლიანი საღდო	-312.441	0.000	-299.044	0.000	-235.079	0.000
ფინანსური აქტივების ცვლილება	-312.599	0.000	-299.202	0.000	-235.079	0.000
ზრდა	10.400	0.000	10.400	0.000	10.400	0.000
ვალუტა და დეპოზიტები		0.000		0.000		0.000
აქციები და სხვა კაპიტალი	10.400		10.400		10.400	
კლება	322.999	0.000	309.602	0.000	245.479	0.000
ვალუტა და დეპოზიტები	322.999	0.000	309.602	0.000	245.479	0.000
ვალდებულებების ცვლილება	-0.158	0.000	-0.158	0.000	0.000	0.000
კლება	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
საშინაო	0.158	0.000	0.158	0.000	0.000	0.000
ბალანსი	0.000	0.000	0.000	0.000	0.000	0.000

ქედის მუნიციპალიტეტის მერი **ლევან გორგილაძე**  
 საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **ჯემალ ტაყიძე**

კორექტირებული ნაშთი წლის დასაწყისისათვის 602.567  
 ნაშთი საანგარიშო წლის ბოლოსათვის 357.088


დასახელება	შემოსავლების კლასიფიკაცია	2018 წლის დაზუსტებული გეგმა	2018 წლის III კვ. დაზუსტებული გეგმა	2018 წლის III კვ. საკასო შესრულება
<b>შემოსულობები</b>		<b>11,283.544</b>	<b>7,899.901</b>	<b>6,970.746</b>
შემოსავლები	1	11,268.544	7,884.901	6,961.681
არაფინანსური აქტივების კლება	31	15.000	15.000	9.065
<b>შემოსავლები</b>		<b>11,268.544</b>	<b>7,884.901</b>	<b>6,961.681</b>
<b>გადასახადები</b>		<b>850.000</b>	<b>759.000</b>	<b>767.487</b>
საშემოსავლო გადასახადი	11111	350.000	300.000	289.707
ქონების გადასახადი	11311	500.000	459.000	477.780
საკაპოველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131101	468.000	447.000	474.932
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1131103	2.000	2.000	0.000
